# თავისუფალი საქართველო

№24

27 ოქტომბერი - 2 ნოემბერი

1995 წ.

ფასი 5 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


## ქუჩის იმედიანი რეპორტაჟები

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საზოგადოების გახრწნისა და გადაგვარების საგანგებოდ შექმნილი მექანიზმი მუშაობს, ქართველი ერის არსებობის პრინციპი მაინც ჯანსაღ ნიადაგს ეფუძნება და ორიენტირად იგი ზნეობრივ და გონიერ პოზიციას ირჩევს.

ქუჩის რეპორტაჟები ერთგვარი წარუმატებლობით დაიწყო. ამ გაჭირვებული ყოფისა და დამძიმებული რეალობისგან გადაღლილი ადამიანები ერთგვარი გულუბრყვილობით გვპასუხობდნენ: - ჩვენ არც ერთ პარტიას არ ვუჭერთ მხარს, პოლიტიკაში არ ვერევით.

ასეთი ცივი და პრაგმატული პასუხი მხოლოდ იმ ქვეყანაში შეიძლება მოისმინო, სადაც საზოგადოება მომხდარი პოლიტიკური რეალიებით, უბრალოდ, გაღიზიანებულია და აღარც კი სურს რაიმე მონაწილეობა მიიღოს საკუთარი ქვეყნის მომავლის განსაზღვრაში; მით უმეტეს, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე მას არავინ არაფერს ეკითხება და ქვეყნის ბედსა და მომავალს ერთპიროვნულად ვიღაც სხვა წყვეტს.

თუმცა, იმედი არ დაგვიკარგავს და მართლაც, როგორც ხდება ხოლმე, მოგვიანებით ჩვენთან საუბრის სურვილი ბევრმა ადამიანმა გამოთქვა. ჩვენს მიერ დასმული შეკითხვები ერთ ძირითად საკითხს მოიცავდა - იღებენ თუ არა ჩვენი რესპონდენტები არჩევნებში მონაწილეობას და რას ფიქრობენ, საერთოდ, ამ საკითხის გარშემო.

ჩვენი მიზანი არ გახლდათ მოსახლეობის გამოკითხვა და ამის საფუძველზე რაიმე ანკეტური მონაცემების შედგენა. ჩვენი სურვილი გახლდათ მათი აზრის მოსმენა და მისი საჯაროდ გამოტანა, რამეთუ ხალხი გადაეჩვია საჯაროდ ლაპარაკს საკუთარი ქვეყნის სატკივარზე.

რესპონდენტების უმრავლესობა გვპასუხობდა, რომ არჩევნებში არ იღებს მონაწილეობას იმიტომ, რომ მას უკვე არჩეული ჰყავს კანონიერი პრეზიდენტი და პარლამენტი და მათ მიერ არჩეული ხელისუფლება ისე დაამხეს, რომ მათთვის არაფერი უკითხავთ. ასეთი იყო ზოგადი პასუხები, თუმცა რამდენიმე მათგანმა უფრო ვრცლად მოინდომა ჩვენთან საუბარი:

**ზვიად ბაქრაძე (ექიმი):** ჩემი აზრით, ქართველი ხალხის მთელი ძალისხმევა დღეს არჩევნების ბოიკოტირებისკენ უნდა იყოს მიმართული, რადგან ამ ეტაპზე ქართველ ერს არჩევანი არ გააჩნია. არჩევნებში მონაწილეობა ნიშნავს ხუნტის დაკანონებას. ასე რომ, ჩვენი შთამომავლობაც კი ვერასოდეს დააღწევს ამ კაბალას თავს და იგი ჩვენ შეგვაჩვენებს.

**ირაკლი გეწაძე (სტუდენტი):** მე არ ვიცი, რატომ უნდა წავიდე არჩევნებზე. ედუარდ შევარდნაძემ ხომ უკვე წინასწარ აირჩია საკუთარი თავი.

**გიორგი მეტრეველი (უმუშევარი):** არჩევნებში მონაწილეობა უზნეობად მიმაჩნია. ეს არის საკუთარი თავისა და ქვეყნის შეურაცხყოფა. ქვეყნის სათავეში იარაღით მოსული მთავრობის მიერ დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობა ნიშნავს იმას, რომ შენც თანამონაწილე ხდები იმ ბოროტებისა, რაც ხუნტამ დაატრიალა საქართველოში.

**ეკა დევდარიანი (მუსიკოსი):** მე მჯერა, რომ ეროვნული მოძრაობა შეძლებს არჩევნების ბოიკოტირებას. ეს იქნება დიდი გამარჯვება ეროვნული მოძრაობისა და ამ გამარჯვებაში თითოეული ჩვენგანი უნდა მონაწილეობდეს... კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობა არჩევნებში უზნეობად მიმაჩნია.

**მაია გოშაძე (ექიმი):** არჩევნებზე არ წავალ. არ წავალ იმიტომ, რომ მისი ობიექტურად ჩატარების იმედი არ მაქვს. ხალხს მაინც არავინ არაფერს ეკითხება.

**მამუკა სვანიშვილი (ინჟინერი):** ჩემი პოზიცია შეიძლება გულუბრყვილოდ მოგეჩვენოთ. მე მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებში მივიღებ მონაწილეობას და ღრმად მწამს, რომ ეს დღეც მალე დადგება. ხუნტამ კი რამდენი არჩევნებიც არ უნდა ჩაატაროს, მაინც ხუნტად დარჩება.

ჩვენი ქუჩის დიალოგები უსასრულოდ გაგრძელდებოდა, რომ არა ერთი მხიარული შემთხვევა. შეკითხვით ვაკის პარკის მუდმივ სტუმრებს - დომინოს სათამაშოდ შეკრებილ პენსიონერებს მივმართეთ. მათ დაუფიქრებლად გვიპასუხეს - სტალინი რომ ცოცხალი იყოს, ხმას მხოლოდ მას მივცემდით, ხოლო დიდი სტალინის გზის ღირსეულ გამგრძელებლად ედუარდ შევარდნაძის გარდა დღეს საქართველოში არავინ გვეგულება.

ქ.ქ.

## დაუბრუნებს თუ არა რუსეთი აფხაზეთს შევარდნაძეს?!

წინასაარჩევნო პერიოდში ოფიციოზის მხრიდან განსაკუთრებით ხშირად გაისმის არგუმენტი, რომ შევარდნაძის პრეზიდენტად არჩევა აფხაზეთის დაბრუნების გარანტიაა.

იგულისხმება, რომ მხოლოდ უბადლო დიპლომატის საგანგებოდ გამორჩეული ნიჭი თუ გაართმევს თავს ამ ურთულეს ამოცანას.

ოფიციოზის აზრის საპირისპიროდ სხვა მოსაზრებაც არსებობს. დამოუკიდებელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთმა, რომელიც გიორგაძესაც კი არ აძლევს შევარდნაძეს, საეჭვოა აფხაზეთი დაუბრუნოს დიდ, მაგრამ მიმნდობ პოლიტიკოსს.

## საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ერთგული რჩება 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმზე საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოხატული ნებისა და რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე იმავე წლის 9 აპრილს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის; აგრეთვე უზენაესი საბჭოს 1992 წლის მარტის სესიის დადგენილებისა, რომლის თანახმადაც, პუტჩის შედეგად ხელისუფლებაში მოსული რეჟიმის მემკვიდრე ფაქტობრივი "პარლამენტის" მიერ მიღებული აქტები ბათილად არის ცნობილი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ დანიშნული 1995 წლის 5 ნოემბრის "არჩევნები" არის უკანონო და უცხადებს მას ბოიკოტს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული სტატუსის განმსაზღვრელ დოკუმენტებზე დაყრდნობით და იმის გათვალისწინებით, რომ პუტჩის შემდეგ მას არანაირ კაპიტულანტურ საბუთზე ხელი არ მოუწერია, არ შეუჩერებია თავისი უფლებამოსილება, უზენაესი საბჭო რჩება ერთადერთ კანონიერ, იურიდიულად ძალმოსილ ხელისუფლებად; ქვეყნისა და ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელად და შემფასებლად, სახელმწიფოს სათავეში საქართველოს ინტერესების დამცველი ხელისუფლების მოსვლამდე.

საქართველოს რესპუბლიკის
დევნილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი

## განზილებული პოლიცია აქციის მოლოდინში

დღის 12 საათიდან, 22 ოქტომბერს, შოთა რუსთაველის ძეგლის გარშემო და მერაბ კოსტავას სახლის მისადგომებთან შეიმჩნეოდა პოლიციის მუშაკთა სიმრავლე. აქ შეყრილიყვნენ მშვიდობიანი აქციების ცნობილი დამრბევები, შსს ქალაქის სამმართველოსა და მთაწმინდის რაიონის პოლიციის პასუხისმგებელი პირები, სპეცდანიშნულების რაზმი, ყველასთვის კარგად ცნობილი მღებრიშვილის ბიჭები თავიანთი ორი "ფორდი"-თ და პოლიციის ოლიმპიელი ფალავანი მიხეილ სალაძე. აღსანიშნავია, რომ პოლიციელებს მხარს უმშვენებდა დობერმან პინჩერის ჯიშის ძაღლი, რომელსაც სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ოპერმუშაკი ჰყავდა მიჩენილი.

შესამჩნევი იყო, რომ პოლიცია ყურადღებით უთვალთვალებდა გამვლელ-გამომვლელს, განსაკუთრებით, ჯგუფებად მდგარ და მოსაუბრე მოქალაქეებს. როგორც ცნობილია, ქალაქის ამ ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ ადგილას ხშირად ინიშნება შეხვედრები. ამდენად, პაემანზე მოსული მეგობრები და შეყვარებულთა წყვილებიც კი, უნებლიეთ, აღმოჩნდნენ პოლიციის ყურადღების ცენტრში.

განსაკუთრებით მკაცრი კონტროლის ქვეშ მოექცა მერაბ კოსტავას ეზო, რომელიც უკვე 13 ოქტომბრიდან იყო ოკუპირებული პოლიციის მიერ. როგორც ჩანს, სამართალდამცავ ორგანოებს მწარედ ახსოვთ შარშან, სწორედ ამ დღეს, საქართველოს ეროვნული გმირის სახლთან დაწყებული აქცია და წინასწარ თავს იზღვევენ. ჭიშკართან მდგარი "ვილისი" ხერგავდა ეზოს შესასვლელს, ხოლო იქვე მდგომი პოლიციელები ეზოში არ უშვებდნენ მოქალაქეებს (ჩვენთვის უცნობია, აქვთ თუ არა ამ ეზოს მობინადრეებს სახლიდან გამოსვლის უფლება და შინაპატიმრობა მხოლოდ მერაბ კოსტავას დედას, ქ-ნ ოლღა დემურია-კოსტავას აქვს მისჯილი, თუ მის მეზობლებსაც).

როგორც მოგვიანებით გამოირკვა, დღის პირველი საათისთვის მერაბ კოსტავას ეზოში დანიშნული იყო ანტისაარჩევნო ბლოკის "აღსდექ საქართველო!" აქცია და სწორედ ამით იყო გაპირობებული პოლიციის საბრძოლო მზადყოფნა. პოლიციის მუშაკები მიერეკებოდნენ მოქალაქეებს "სახიფათო ზონიდან" და ამ საქმიანობაში გართულნი, უნებლიეთ წააწყდნენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციის - IGFM/ISHR ადგილობრივ წევრებს, რომლებმაც განუმარტეს კანონის რაინდებს თავიანთი უფლებები და სტატუსი. პოლიციელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი უმრავლესობა თავშეკავებით ეპყრობოდა მეთვალყურეებს, მაგრამ ბოლოს მიხეილ სალაძეს მაინც უმტყუნა ნერვებმა და გამოიჩინა ჩვეული სიუხეშე ერთ-ერთის მიმართ. იქვე უცნობმა ოპერმუშაკმა ხელის კვრით გააგდო და შემდეგ ძალით გაათრია გამვლელი მოქალაქე, რომლის დანაშაული მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ იგი ინტერესით უსმენდა საერთაშორისო დამკვირვებელთა საუბარს პოლიციელებთან.

საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებმა თითქმის მთელი დღე დაკარგეს ანტისაარჩევნო აქციის მოლოდინსა და გამვლელებთან ურთიერთობების გარკვევაში. სანამ უქმად მდგომი "სპეცნაზელები" თავიანთ სახელოვან ხელკეტებს ჰაერში ატრიალებდნენ, მათმა მეთაურმა მღებრიშვილმა მახლობელ კაფეში ისადილა (და იქნებ, ივახშმა კიდეც) და განახლებული ენერგიით შეუდგა "საქმიანობას". რაც შეეხებათ აქციის ორგანიზატორებს, როგორც ჩანს, მათ არც უფიქრიათ ამ პოლიციური იდილიის დარღვევა და, ალბათ, ამ კვირა დღეს დასვენება გადაწყვიტეს.

მამუკა ტუსიშვილი

## მკითხველთა საყურადღებოდ:

## წინასაარჩევნო პერიოდში გაზეთი «თავისუფალი საქართველო» გაიყიდება ფასდაკლებით

# კავსაძემ პოლიტპატიმარი მოინახულა

16 ოქტომბერს მოშიმშილე პოლიტპატიმარი გოჩა მახვილაძე, ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო, გადაიყვანეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მოშიმშილე მსჯავრდებული მოითხოვდა ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან შეხვედრას. როგორც გვაცნობეს გოჩა მახვილაძის ოჯახის წევრებმა, 17 ოქტომბერს პოლიტპატიმარი მოინახულეს ბ-ნმა ს.კავსაძემ და სსსა სამმართველოს უფროსმა, გენერალმა გ.ყვარელაშვილმა. როგორც ყვარელაშვილთან საუბრისას გაირკვა, მახვილაძე იმითაც კმაყოფილი უნდა იყოს, რომ მას არ სცემენ. რაც შეეხება მის მოთხოვნას, გაასამართლონ 24 ივნისის "სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისათვის", ბ-ნი კავსაძე შეჰპირდა პოლიტპატიმარს, რომ შეისწავლის მის საქმეს და შესაბამისი შუამდგომლობით მიმართავს უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობას. გოჩა მახვილაძემ შეხვედრის შედეგები დამაკმაყოფილებლად ჩათვალა და შიმშილობა შეწყვიტა.

# "კავსაძის გამტაცებელი" საავადმყოფოში მოათავსეს

16 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციის - IGFM რამდენიმე ინდივიდუალური წევრი ესტუმრა შსს სსსა სამმართველოს სამედიცინო სამსახურს, ზოგიერთი პოლიტპატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით.

სამედიცინო ნაწილის უფროსის კაბინეტში იმყოფებოდა ვინმე შოთა ძნელაძე, როგორც შემდგომში გაირკვა, სამმართველოს უფროსის ერთ-ერთი მოადგილე, პოლკოვნიკი. შეიტყო რა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა ვიზიტის მიზეზი, მან განაცხადა, რომ პოლიტპატიმრები "სამკურნალოები კი არა - ჩასაძაღლებლები არიან"...

ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიის ცნობით, "კავსაძის გამტაცებელი" დავით კაჭარავა 18 ოქტომბერს საპყრობილედან გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში ორმხრივი კავერნული ტუბერკულოზის დიაგნოზით.

როგორც ჩანს, პოლიტპატიმართა ამ დონეზე დაუძლურებას გულისხმობდა ბ-ნი ძნელაძე.

რაც შეეხება პატიმართა ჯანმრთელობას - ითქვა, რომ მძიმე მატერიალური პირობების გამო, მათი მკურნალობა, საავადმყოფოში გადაყვანა, სამწუხაროდ, შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პატიმრის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრება.

# ვის აირჩევს დამნაშავედ უშიშროების სამსახური?

თითქმის ორი თვე გავიდა, რაც 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით დაპატიმრებულ იქნენ კანონიერი ხელისუფლების მომხრეები (ამჟამად პატიმრობაში იმყოფება რვა ადამიანი, ორი - განთავისუფლებულია) და მთელი ამ ხნის განმავლობაში მათი ოჯახის წევრებს არ მიეცათ პატიმართა ნახვის უფლება.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა, ჯ. ბაბილაშვილმა პატიმართა ახლობლებს უარი განუცხადა ნახვის ნებართვის გაცემაზე. ამის შემდეგ, 1995 წლის 23 ოქტომბერს მათ მიმართეს საქართველოში ეუთო-ს (OSCE) მისიის წარმომადგენელს, ქ-ნ დარია ფეინის, რომელსაც მოეპოვება გარკვეული ინფორმაცია ამ საქმის შესახებ მას შემდეგ, რაც პირისპირ შეხვდა და ესაუბრა პოლიტპატიმრებს. საუბრისას გაირკვა, რომ პოლიტპატიმრებს ჩვენებები ფიზიკური ზეწოლის შედეგად აქვთ მიცემული.

მიუხედავად ადვოკატთა მოთხოვნისა, გაათავისუფლონ მათი დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულო პირები, რომელთა ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები ძიებას არ მოეპოვება, პოლიტპატიმართა ბედი დღესაც გაურკვეველია. არავინ უწყის, რა აქვთ განზრახული უშიშროების სამსახურის მესვეურთ, როგორი მსვლელობა მიეცემა საქმეს, რომლის საფუძველზეც უკვე დაკავებული და საინფორმაციო საშუალებებით მხილებულია თავად უშიშროების სამსახურის პასუხისმგებელ თანამშრომელთა ჯგუფი. როგორც ცნობილია, ამ ტერაქტის ორგანიზატორებად ხელისუფლების მიერ გამოცხადებულნი არიან უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, საქმეს კი კვლავ უშიშროების სამსახური იძიებს და კანონიერი ხელისუფლების მომხრენი კვლავ პატიმრობაში არიან.

# უკრაინამ გააუქმა სიკვდილით დასჯა

ამ დღეებში უკრაინის პარლამენტმა ევროგაერთიანების დაყენებული მოთხოვნით რესპუბლიკის ტერიტორიაზე გააუქმა სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკდილით დასჯა!

რაოდენ დასანანია, რომ საქართველოს, რომელსაც კანონიერი ხელისუფლების დროს ფაქტობრივად გაუქმებული ჰქონდა სიკვდილით დასჯა, "ევროპაში ყველაზე დემოკრატიული" კონსტიტუციის წყალობით, დღეს თავიდან აქვს დასაწყები მოძრაობა სასჯელის უმაღლესი ზომის გასაუქმებლად.

# ბრძოლა სახელისთვის, თუ ბრძოლა თავისუფლებისთვის

## საქართველოს ჰელსინკის კავშირის განცხადება

საქართველოსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის ესოდენ საპასუხისმგებლო მომენტში, როდესაც საოკუპაციო მარიონეტული ხელისუფლება ცდილობს დაიკანონოს თავი უკანონო არჩევნების ჩატარებისა და მისი ფალსიფიცირების გზით, იმპერიული ძალები, უხეშ შემოტევასთან ერთად (დაპატიმრებები, "პროფილაქტიკის" მიზნით სუკში და პოლიციაში დაბარება-დაშინებები, მოსყიდვის მცდელობები), შიგნიდან აფეთქებენ აქტიური ბოიკოტის მომხრე პოლიტიკურ ორგანიზაციებს.

საქართველოს ჰელსინკის კავშირიდან გარიცხული რამდენიმე წევრის (გარიცხულნი 8 თვის წინ, პარალელური ორგანიზაციის შექმნის მცდელობისთვის) მიერ "საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ე.წ. მორიგი მე-3 ყრილობის ჩატარებას (რომელსაც არ ესწრებოდა რეგიონული - აჭარის, ცხუმ-აფხაზეთის და არც ერთი საქალაქო ორგანიზაციის მიერ არჩეული დელეგატი) ა.წ. 1 ოქტომბერს (იხ. გაზ. "კოლხური კოშკი" N14) ვაფასებთ უაზრო და უშედეგო პოლემიკაში გამოწვევის გზით საბოიკოტო მუშაობის, პოლიტპატიმართა და ადამიანის უფლებათა დაცვის საქმიანობის ბლოკირებისა და კავშირის დისკრედიტაციის მცდელობად.

ამასთან, კვლავ შევახსენებთ საზოგადოებას, რომ საქართველოს ჰელსინკის კავშირის მე-3 რესპუბლიკურმა კონფერენციამ და შემდეგ მე-3 ყრილობამ, კავშირის თავმჯდომარის - ზვიად გამსახურდიას მიერ 1993 წლის 4 ივლისით დათარიღებული მიმართვის საფუძველზე, გააუქმა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. თავად მიმართვა ჯერ კიდევ 1993 წლის ივლისში წარედგინა "მრგვალი მაგიდის" წევრებს ზუგდიდში ჩატარებული "მრგვალი მაგიდის" გასვლით სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენელი ვიცე-სპიკერის ჩათვლით; ამდენად, ვიცე-სპიკერ თ.კიკაჩეიშვილის მიერ (რომელიც არასოდეს ყოფილა ჰელსინკის კავშირის წევრი და რომელიც ხანგრძლივად ეძებდა საკუთარ ადგილს პოლიტიკურ ორგანიზაციებში - კომ.პარტია, სახალხო ფრონტი, წინააღმდეგობის ფრონტი, ეროვნულ-ლიბერალური კავშირი) საქართველოს ჰელსინკის კავშირში არარსებული თანამდებობის (ვიცე-თავმჯდომარის) დაკავება ნაკარნახევია პიროვნული ამბიციებით და იმ სავალალო მდგომარეობით, რომელშიაც იგი პოლიტიკური უმეცრების გამო (მრგვალ მაგიდაში აღარ დარჩა დამფუძნებელი ორგანიზაციები) აღმოჩნდა.

ამ განცხადების შემდეგ, საბოიკოტო მუშაობის დამთავრებამდე, საქართველოს ჰელსინკის კავშირი არ ჩაერთვება არანაირ პოლემიკაში თვითმარქვიებთან, ხოლო შემდგომ სრულფასოვან შეფასებას მისცემს იმ ორგანიზაციებისა თუ პიროვნებების საქმიანობას, რომლებიც მიზანმიმართულად ირჯებიან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაშლა-დისკრედიტირებისთვის.

ამჟამად კი, ჩვენი მთავარი მიზანია ამ ეტაპზე წინ აღვუდგეთ უკანონო მარიონეტული რეჟიმის დაკანონების, საქართველოს მოსახლეობის ნების გაყალბების მცდელობას. ამ მიზნის მისაღწევად კვლავაც გავირჯებით კანონიერების აღდგენისა და გამარჯვების მოსურნე პოლიტიკური ძალების კოორდინირებისა და გაერთიანებისთვის.

*საქართველოს ჰელსინკის კავშირი გამუდმებით ზრუნავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში განხეთქილების თავიდან ასაცილებლად. ამ ზრუნვის ერთ-ერთი ბოლო მაგალითია საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის წევრის, აფხაზეთიდან დევნილის, ბ-ნ ვახტანგ კეკელიას მცდელობა დასწრებოდა ე.წ. ყრილობას, რათა მონაწილეთათვის შეეტყობინებინა: "რომ აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია გამოდის ინიციატივით, 5 ნოემბრამდე გამოცხადდეს მორატორიუმი ყველა იმ ქმედებაზე რომელიც ხელს შეუწყობს განხეთქილებას ეროვნულ მოძრაობაში და არ ემსახურება ე.წ. არჩევნების ბოიკოტს, ხოლო შემდგომ ყველა სადავო საკითხი განხილულიყო ერთიანი ძალისხმევით."*

*სამწუხაროდ "ყრილობის" მომწყობებმა უარი განუცხადეს მას დასწრებასა და დიალოგზე*

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია აცხადებს, რომ:

1995 წლის 17-18 მაისს თბილისში ჩატარებულ საქართველოს ჰელსინკის კავშირის მე-3 რესპუბლიკურ ყრილობაზე აფხაზეთის რეგიონულმა ორგანიზაციამ წარადგინა თავისი დელეგატები (აფხაზეთის რაიონული ორგანიზაციების საერთო კრებებზე არჩეული 20 დელეგატიდან ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 20-ვე), მონაწილეობა მიიღო ყრილობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შემუშავებაში, ხმა მისცა მათ და ცნობს მის, როგორც ჰელსინკის კავშირის უმაღლესი ორგანოს, უფლებამოსილებას.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის მე-3 რესპუბლიკური ყრილობის მუშაობაში 230 დელეგატიდან მონაწილეობა მიიღო 209 დელეგატმა თბილისის, რუსთავის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო, აფხაზეთის, აჭარის რეგიონული, ცხინვალის, წყალტუბოს, ზესტაფონის, აბაშის, მარტვილის, წალენჯიხის, ხობის, ჩხოროწყუს, გურჯაანის, გარდაბნის, დედოფლის წყაროს რაიონული ორგანიზაციებიდან, აგრეთვე კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიის ზუგდიდის სექციამ. ამდენად, კავშირის მე-3 რესპუბლიკური ყრილობა უფლებამოსილი იყო თავის გადაწყვეტილებებში და ფუჭია ყოველგვარი მცდელობა ეჭვქვეშ იქნეს დაყენებული ეს რეალობა.

შეგახსენებთ, რომ დღიდან კავშირის ჩამოყალიბებისა, აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის შემადგენლობაში გაერთიანებულნი არიან ჰელსინკის კავშირის წევრები, რომლებიც არჩეულნი იყვნენ ჯერ კიდევ 1990 წელს: თავმჯდომარე - ავთანდილ დავითაია, წევრები - სოსო ჯომიდავა, ზურაბ კვარაცხელია, ვახტანგ კეკელია, მალხაზ გაბელაია, დალი სილაგაძე. ყოველი მათგანის მოწმობა ხელმოწერილია პირადად ზვიად გამსახურდიას მიერ, არც ერთი მათგანი ქვეყნისთვის ურთულეს პერიოდში არ გაქცევია თავის მოვალეობას. აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია დღემდე რჩება ყველაზე მონოლითურ, ერთიან და ქმედით რგოლად საქართველოს ჰელსინკის კავშირის რეგიონულ ორგანიზაციათა შორის მიუხედავად იმისა, რომ მისი წევრები დევნილნი არიან თავიანთი კუთხიდან, არაადამიანურ პირობებში უწევთ ცხოვრება და, ამასთან, განიცდიან შევიწროებას პოლიტიკური მრწამსისა და მოღვაწეობის გამო.

"საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ე.წ. ყრილობას აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია განიხილავს "ჰელსინკი - 91"-ის ანალოგიური, ახალი ორგანიზაციის დაფუძნებად.

აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის იგნორირება ახლადწარმოქმნილი ორგანიზაციის მხრიდან (ვიცე-თავმჯდომარე თ. კიკაჩეიშვილი), რომელიც თავს ჭეშმარიტ ჰელსინკის კავშირს უწოდებს, წარმოადგენს აფხაზეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის, უგულებელყოფას და მომავალში შეიძლება გაიგივებული იქნეს არსებული უკანონო რეჟიმის (შევარდნაძის) პოლიტიკასთან.

საქართველოს გადარჩენის გზა საქართველოს სულიერი მისიის აღსრულებაზე გადის. ჩვენ უნდა გავიაროთ ეს ურთულესი გზა საქართველოსთან ერთად. ვერავითარი შინა თუ გარე მტერი ვერ შეგვიშლის ხელს ამ წმიდათაწმიდა ბრძოლაში.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის
ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული
ორგანიზაცია
1995 წლის ოქტომბერი

# ყორბესაშვილს ექსპერტიზა ჩაუტარეს

როგორც გ. ყორბესაშვილის ახლობლებისგან შევიტყვეთ, 18 ოქტომბერს, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც ამჟამად იმყოფება პოლიტპატიმარი, მისთვის სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად, რამდენიმე ექიმის თანხლებით გამოცხადდა გამომძიებელი ქელდიშვილი. მიუხედავად გ. ყორბესაშვილის ოჯახის წევრების მიერ გამომძიებლის სახელზე ადრე შეტანილი განცხადებისა, მათი ნდობით აღჭურვილი ექიმები ამ ჯგუფში არ შედიოდნენ. არ გამოცხადდა ყორბესაშვილის ადვოკატიც - დ. მდინარაძე. პოლიტპატიმარმა უარი განაცხადა ადვოკატის მონაწილეობის გარეშე ექსპერტიზის ჩატარებაზე. მისი კანონიერი პრეტენზიით უკმაყოფილო გამომძიებელი დაიმუქრა ავადმყოფი პატიმრის საგამომძიებლო იზოლატორში გადაყვანით. ყორბესაშვილის ოჯახის წევრებმა შემთხვევით შეიტყვეს მოსალოდნელი ექსპერტიზის დანიშვნის შე[illegible]ვნით მიმართეს დამცველს, გადაედო ექსპერტიზის ჩატარება, რათა მისცემოდათ საშუალება ამ კომისიაში მათთვის სასურველი ექიმების მონაწილეობისა, მაგრამ ადვოკატმა არც კი მოისურვა ეშუამდგომლა ექსპერტიზის გადადების შესახებ.

მეორე დღეს, 19 ოქტომბერს ქელდიშვილი კვლავ გამოცხადდა საავადმყოფოში ექიმებისა და ადვოკატის თანხლებით. საავადმყოფოში გამოცხადებულ გამომძიებელსა და ადვოკატს გ.ყორბესაშვილმა დაჟინებით მოსთხოვა მისი ახლობლების მიერ დასახელებული ექიმების მონაწილეობა სამედიცინო ექსპერტიზაში. ქელდიშვილმა, ისევე, როგორც ადვოკატმა, უგულებელყო პატიმრის კანონიერი მოთხოვნა და მაინც ჩაატარა შემოწმება. როგორც გაირკვა, პატიმრისთვის მხოლოდ ქირურგიული დათვალიერება ჩაუტარებიათ და ექსპერტიზა ამით დასრულებულა. პოლიტპატიმარმა პროტესტის ნიშნად ხელი არ მოაწერა დასკვნას და თავის დამცველსაც იგივე მოსთხოვა. მდინარაძემ, თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების საწინააღმდეგოდ, განაცხადა, რომ პატიმრის ამ მოთხოვნას ვერ შეასრულებდა. ყორბესაშვილმა აცილება მისცა ადვოკატ მდინარაძეს და მოსთხოვა ოჯახის წევრებს გაეუქმებინათ მასთან დადებული დაცვის ხელშეკრულება. როგორც შევიტყვეთ პოლიტპატიმრის ოჯახის წევრებისგან, ისინი არ მიიჩნევენ კანონიერად 19 ოქტომბრის სამედიცინო დათვალიერებას და კვლავ კატეგორიულად მოითხოვენ პატიმრისთვის კომპლექსური სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას მათ მიერ მოწვეული სპეციალისტების მონაწილეობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ მათ საჩივრით მიმართეს საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორსა და გამომძიებელს.

# ჩვენებების გამოძალვა... დათვის დახმარებით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა დემურ მიქაძემ აღიარა, რომ პატიმართაგან "აღიარებების" გამოძალვის მიზნით, საპატიმროში გამოიყენებოდა დათვი. ბ-ნი დ.მიქაძის თქმით, ასეთ ფაქტებს მისი დანიშვნის შემდგომ ადგილი აღარ ჰქონია.

(გაზ. "ალია", N 58,
ინტერვიუ დემურ მიქაძესთან)

პუბლიკაცია მოამზადა
ი. ელაშვილმა

თავისუფალი საქართველო N24, 27·X–2·XI/95წ.



## ჯემალ გამახარია -

**აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრი, სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა "ჭყონდიდელის" პოლიტსაბჭოს წევრი .**

**კორესპონდენტი: - დღეს, როდესაც ე.წ. არჩევნები ახლოვდება, როგორია თქვენი, როგორც კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლის პოლიტიკური პოზიცია?**

ჯემალ გამახარია: - ჩემი პოლიტიკური პოზიცია ისევე, როგორც ნებისმიერი პატრიოტის და ნებისმიერი პატიოსანი ქართველისა, არის ბრძოლა კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად, ბრძოლა უკანონო რეჟიმის გასაუქმებლად. ის არჩევნები, რომელიც ახლოვდება და სულ მალე ჩაიშლება, არის უკანონო არჩევნები. ჩვენ ამ არჩევნებში მონაწილეობას არ ვიღებთ და ვუცხადებთ აქტიურ ბოიკოტს. ერთი სიტყვით, სანამ ეს უკანონო ხელისუფლება იქნება საქართველოში, ჩვენ ვიქნებით შეურიგებელნი და ჩვენი ბრძოლა იქნება სრული ეროვნული დაუმორჩილებლობა არსებული რეჟიმის გასაუქმებლად.

**კორ. - რამდენად კანონიერად შეიძლება ჩაითვალოს არჩევნები, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის 1/3 არ იღებს მონაწილეობას?**

ჯ. გ. - არჩევნები, რომელიც დაგეგმილია საქართველოში, ისეთ პირობებში, როდესაც ორი უმნიშვნელოვანესი რეგიონი ფაქტობრივად დაკარგულია, როდესაც არის ძალიან დიდი პრობლემები სამხრეთ საქართველოში, რის შესახებაც საერთოდ დუმს არსებული რეჟიმი, (რაც, სხვათა შორის, შემთხვევითი არ არის), გარდა ამისა, დაახლოებით მილიონზე მეტი მოქალაქე გასულია საქართველოდან, ყოვლად დაუშვებელია ჩატარდეს. ეს ხელისუფლება კანონიერიც რომ იყოს, მან არ უნდა ჩაატაროს არჩევნები ასეთ დამძიმებულ ვითარებაში. კანონიერი ხელისუფლება, რა თქმა უნდა, იმ დაკარგულ მიწებს დაარქმევდა თავის სახელს, იტყოდა, რომ ესაა ანექსირებული ტერიტორიები და ოკუპანტსაც დაასახელებდა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, არჩევნების ჩატარება შესაძლებელი გახდებოდა. მაგრამ არსებული ხელისუფლება თავად არის საოკუპაციო, ამიტომ ის არასოდეს დაარქმევს ნამდვილ სახელს იმ პრობლემას, რომელიც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გვაქვს; არასოდეს იტყვის, რომ ის რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიაა. ამდენად, მას არჩევნების ჩატარების უფლებაც არ გააჩნია. არსებულ ხელისუფლებას სწორედ იმის იმედი აქვს, რომ ის ტერიტორიები, სადაც მისი მოწინააღმდეგე მოსახლეობა ცხოვრობს, არ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას.

ამასთან, დაფიქრდით, ვინაა გასული საქართველოდან - ამ რეჟიმის მომხრეები, რომლებმაც ხელი მოითბეს ერის უბედურებაზე, თუ ის უბრალო პატიოსანი ხალხი, ვინც გაძარცვეს, დევნილის ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააგდეს, ულუკმაპუროდ დატოვეს და აიძულეს საარსებო სახსრების საძიებლად სამშობლო დაეტოვებინა? ვინ არიან ისინი? როგორც წესი, ისინი არიან უკანონო ხელისუფლების მოწინააღმდეგეები. ამ და სხვა მიზეზთა გამო, რა თქმა უნდა, ეს არჩევნები უკანონო იქნება. ფაქტობრივ ხელისუფლებას სწორედ იმისი იმედი აქვს, რომ უქართველებო საქართველოში ჩაატაროს არჩევნები და რეჟიმის მოწინააღმდეგეების არყოფნის პირობებში მიიღოს ხმების ის მინიმუმი, რაც აუცილებელია მისი არსებობის გასახანგრძლივებლად.

**კორ. - არსებულმა ხელისუფლებამ არაერთხელ გაათამაშა "აფხაზეთის კოზირი" სასურველი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. აფხაზეთის საკითხი წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემად იქცა. თქვენი აზრით, არის თუ არა შესაძლებელი აფხაზეთის დაბრუნება ახალი არჩევნების ჩატარების შემდეგ ისე, როგორც ამას ხელისუფლების მაძიებელი პრეტენდენტები გვპირდებიან?**

ჯ. გ. - სავსებით სწორად ბრძანეთ, რომ არსებულმა ხელისუფლებამ არაერთხელ გაათამაშა "აფხაზეთის კოზირი" სასურველი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. დღესაც ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი რიგი ბლოკები, რომლებიც ახლაა შექმნილი, ცდილობენ ქულების დასაგროვებლად კიდევ ერთხელ გაათამაშონ იგივე კარტი. ამ არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება აფხაზეთსა და შიდა ქართლს ვერ დაიბრუნებს. მე ამის "გარანტიას" ვაძლევ საქართველოს და განსაკუთრებით იმ ლტოლვილებს, რომლებსაც ამისი იმედი აქვთ, და აი, რატომ: აფხაზეთი რუსეთის მიერაა მიტაცებული და არა აფხაზი სეპარატისტების მიერ, როგორც ამას აცხადებენ პრეზიდენტობის კანდიდატები და სხვადასხვა ბლოკის თუ პარტიის წარმომადგენლები. მიმაჩნია, რომ ყველა ის ბლოკი და პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში ღებულობს მონაწილეობას, ამა თუ იმ სახით, რუსეთის სხვადასხვა ძალებთანაა დაკავშირებული. რუსეთში მე ვერ ვხედავ გავლენიან პოლიტიკურ ძალას, რომელიც რეალისტურად აზროვნებს და აპირებს ხელი აიღოს იმპერიულ ამბიციებზე და საქართველოს დაუბრუნოს ის ტერიტორიები, რომლებიც მიტაცებული აქვს. ე.ი. ხელისუფლების მაძიებელნი მართულნი არიან მოსკოვიდან და ისინი თავიანთ პატრონს ვერ შეებრძოლებიან. ამდენად, არც ერთი მათგანი აფხაზეთის დამბრუნებელი არ არის. ეს არის მწარე სიმართლე. განსაკუთრებით ჩვენი ლტოლვილების გასაგონად ვამბობ ამას. ადრე შევარდნაძის იმედი თუ ბევრს ჰქონდა, დღეს უმრავლესობას იმედი გაუცრუვდა, მაგრამ აქვს ამა თუ იმ კანდიდატის იმედი, მაგალითად, პატიაშვილის. მაგრამ ვერც ის, ვერც პანტელეიმონ გიორგაძე, რომელიც საბჭოთა კავშირის აღსადგენად იბრძვის, აფხაზეთს ვერ დაგვიბრუნებს, რამეთუ ამისთვის მან უნდა შეკრას კავშირი კავკასიასთან და ერთიანი ძალით დაუპირისპირდეს რუსეთს. არც ერთი კანდიდატი ამისი გამკეთებელი არაა, სწორედ ამიტომაა ეს იმედი უსაფუძვლო.

**კორ. - ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ "აფხაზეთის კოზირის" სხვა ვარიანტი გათამაშდეს - იქ ხელოვნურად გამოწვეული დესტაბილიზაცია გახდეს არჩევნების ჩაშლის მიზეზი. მით უმეტეს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში არსებულმა ხელისუფლებამ არაერთხელ გააკეთა განცხადება - აფხაზეთის პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით მოგვარების შესახებ?**

ჯ. გ. - მე სულაც არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც დესტაბილიზაცია მოხდეს აფხაზეთში, რათა არჩევნები ამ საბაბით ჩაიშალოს, ჩვენ ამას თითქმის ყოველდღე მოველით. რამდენიმე დღის წინ გამოცხადდა ტელევიზიით (მე პირადად მოვისმინე), რომ თურმე ვიღაცეები აპირებენ სამხედრო ბაზებზე თავდასხმას. თქვენთვის ცნობილია, რომ სამხედრო ბაზები განლაგებულია აფხაზეთისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე, კერძოდ გალის რაიონშიც. გარწმუნებთ, რომ ამ ხელისუფლების გარდა, მათზე თავდასხმას არავინ აპირებს. და ეს "თავდასხმაც" არჩევნების ჩასაშლელად იქნება გათამაშებული. მე ვიცი, რომ შევარდნაძის მომხრეები ადგილებზე ძალიან შეწუხებულები არიან, რადგან ხედავენ რეალურ სურათს - შევარდნაძეს მაქსიმუმ 15-20% მისცემს ხმას, ეს ინფორმაცია მამა-მარჩენალსაც გააჩნია და ბოლო ეტაპზე, თუ ვითარება არ შეიცვალა, ამ კოზირს, ალბათ, გამოიყენებენ უკანონო რეჟიმის არსებობის გასახანგრძლივებლად.

ამასთან დაკავშირებით, ერთ საკითხზე მინდა გავამახვილო ყურადღება. ადვილი დასანახია, თუ შევარდნაძის გარემოცვაში როგორაა განაწილებული როლები: ერთი ნაწილი გაიძახის, რომ დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით; მეორე ნაწილი - ძალიან ახლო გარემოცვა - აცხადებს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით, სპეციალური ბლოკიცაა ამისთვის შექმნილი - "ჩვენი სახლი აფხაზეთი", რომელიც გაიძახის, რომ ჩვენ ძალისმიერი მეთოდებით შევალთ და დავიბრუნებთ აფხაზეთსო. ყველა ესენი არიან პიროვნებები, რომლებსაც შევარდნაძის იქით გზა არა აქვთ. ერთნი კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარების მომხრეებად გვაჩვენებენ თავს, რათა იმ ადამიანთა ხმები მოიპოვონ, ვინც ამ გზას მართებულად მიიჩნევს, მეორენი კი იგივე ამოცანას საპირისპირო ლოზუნგებით ახორციელებენ. ორივეს კანდიდატი შევარდნაძეა. მოკლედ, ზოგი სტალინელია, ზოგი სოციალისტი, ზოგიც გაიძახის - "პროგრესი" ვართო, რაღარც სახელები დაირქვეს და ეს ყველაფერი შევარდნაძის ასარჩევად და საოკუპაციო რეჟიმის გასახანგრძლივებლადაა მოგონილი. ამ მიზანს ემსახურებიან ეს პარტიები და განსაკუთრებით კი "ჩვენი სახლი - აფხაზეთი", აი, ამ მიზნითაა ის შექმნილი.

**კორ. - დღეს აფხაზეთიდან დევნილი ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მათი აფხაზეთში დაბრუნების გარანტიაა. თქვენ, როგორც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრი, რას ეტყოდით ამგვარად განწყობილ ადამიანებს?**

ჯ. გ. - ეს არის უდიდესი შეცდომა, საბედისწერო შეცდომა, უფრო მეტიც, ეს არის დანაშაული, როგორც აფხაზეთის, ასევე სრულიად საქართველოს წინაშე. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ის, ვინც თვლის, რომ შევარდნაძის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია ომი მოვიგოთ, ან პოლიტიკური მეთოდებით დავიბრუნოთ ეს მიწები, არის თანამონაწილე (შეგნებულად თუ შეუგნებლად) იმ დანაშაულისა, რომელსაც შევარდნაძე და საოკუპაციო რეჟიმი სჩადიოდა სრულიად მიზანმიმართულად. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მოვა დრო და, შევარდნაძესთან ერთად, ყველა შევარდნაძის მომხრეს მოეთხოვება პასუხი. ამ პიროვნებისა და რეჟიმისადმი მხარდაჭერა ნიშნავს ბრძოლას აფხაზეთის დასაკარგავად.

რას ნიშნავს ლტოლვილის და არა მარტო ლტოლვილის მისვლა საარჩევნო ყუთთან და მით უმეტეს, თუ იგი ხმას აძლევს შევარდნაძეს? ეს ნიშნავს, რომ იგი იწონებს მის მიერ ჩადენილ "საგმირო" საქმეებს, ანუ აფხაზეთისა და ქვემო ქართლის ჩაბარებას. არძინბას, მას შემდეგ, რაც დაფიქსირდება, რომ ლტოლვილები მივიდნენ არჩევნებზე, არავითარი რეფერენდუმი აფხაზეთის საქართველოსგან გამოსაყოფად აღარ დასჭირდება. ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთის მოსახლეობამ ჩაატარა რეფერენდუმი და მოიწონა აფხაზეთის ჩაბარება შევარდნაძის მიერ. ეს არის უმძიმესი დანაშაული. ამ არჩევნების საფუძველზე, არძინბას ეძლევა საშუალება მიმართოს მსოფლიო საზოგადოებას, რომ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა (დევნილი ქართველების სახით) მოიწონა შევარდნაძის კურსი, მოიწონა აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფა და რომ მას უკვე აქვს იურიდიული საფუძველი, რათა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და სხვა ქვეყნებმა აღიარონ მისი დამოუკიდებლობა.

მე, როგორც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრი, კი არ ვთხოვ, ვაფრთხილებ, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა და მოსაზრებებისა, ჩემს თანამემამულეებს - ვისაც უნდა, რომ აფხაზეთი დაბრუნდეს საქართველოს შემადგენლობაში, შევარდნაძის მომხრეც რომ იყოს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ არჩევნებში!

ამიტომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, და ამისი გამეორებით არ დავიღლები: ის, ვინც საარჩევნო ყუთთან მივა 5 ნოემბერს, განურჩევლად იმისა, ვის მისცემს ხმას, და განსაკუთრებით ის, ვინც შევარდნაძეს აირჩევს - ხმას აძლევს აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფას.

**კორ.- თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა, 5 ნოემბრის არჩევნები გახდეს ქვეყნის ერთიანობისა და სტაბილიზაციის გარანტი?**

ჯ. გ. - არანაირი გარანტი ამისა ეს არჩევნები არ იქნება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ არჩევნების ჩატარება კიდევ უფრო გააღრმავებს წინააღმდეგობას ერში. ამის შედეგი, სამწუხაროდ და საუბედუროდ, ჩვენ 11 ოქტომბრის არჩევნებით უკვე ვნახეთ. დღეს არ არსებობს ადამიანი, რომელიც თვლიდეს, რომ შევარდნაძე ქვეყანას სიკეთეს მოუტანს. არიან მხოლოდ ისინი, ვინც ფიქრობს, რომ შევარდნაძე პირადად მათ მისცემს ქვეყნის ძარცვის საშუალებას, რომ შევარდნაძე მათ პირად კეთილდღეობას შეუქმნის. შევარდნაძე ბოლომდე მხილებული და პოლიტიკურად გაკოტრებულია.

მე მინდა გავაფრთხილო ყველა, რომ შევარდნაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლით, გარდუვალია შეიარაღებული კონფრონტაცია ხელისუფლების შიგნით. დემოკრატიული გზით ის ხელისუფლებაში ვერასდროს მოვა, ეს მხოლოდ არჩევნების ფალსიფიცირების გზითაა შესაძლებელი. მის მიერ, თუ მის საწინააღმდეგოდ გაჩაღებული ომი კი საქართველოს საბოლოო დანგრევა იქნება. ქვეყანაში სტაბილიზაციისა და ერთიანობის გარანტი მხოლოდ კანონიერი ხელისუფლება შეიძლება იყოს. მე მეცოდებიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ რუსეთის იმპერიასთან შებრძოლება არ შეიძლება.

ეს რომ შესაძლებელია, ამის ნათელი მაგალითი ჩეჩნეთის რესპუბლიკაა, რომელსაც სწორედ იმის გამო უხდება იარაღით ბრძოლა, რომ რუსეთმა გამონახა რაღაც იურიდიული მექანიზმი ჩეჩნეთთან ომის გასაჩაღებლად (რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა), რაც შეეხება საქართველოს, რუსეთი აქ პირდაპირ აგრესიას ვერ განახორციელებს. სწორედ ამიტომ ეძებს ის დასაყრდენად ხან შევარდნაძეს, ხან ბაქრაძეს, ხან პატიაშვილს, ხან გიორგაძეს. ეს ფაქტობრივად მეხუთე კოლონაა. რომ არა ეს ძალა, ჩვენ ნებისმიერ გარეშე მტერს გავუმკლავდებით! რუსეთზე დამოკიდებული ხელისუფლება ყოველთვის დესტაბილიზაციის წყარო იქნება, რამეთუ სწორედ რუსეთს აწყობს დესტაბილიზაცია საქართველოში. ერთიანი, ძლიერი საქართველო რუსეთს არ აწყობს. სწორედ ამიტომ მოავლინეს მათ შევარდნაძე საქართველოში და დაამხეს კანონიერი ხელისუფლება იარაღით.

**კორ.- რას გვაძლევს არჩევნების ბოიკოტი?**

ჯ. გ. - ბოიკოტი გვაძლევს ყველაფერს. იშვიათად ხდება, რომ ბრძოლის გარეშე, სისხლისღვრის გარეშე მიაღწიო რაღაც ეპოქალურ, დიდ გამარჯვებას. მთელი მსოფლიო განცვიფრებულია, რომ კანონიერი ხელისუფლების გარშემო დარაზმულმა ერთმა მუჭა ჩეჩენმა ხალხმა დაამარცხა ეს უზარმაზარი ურჩხული, რომელიც მსოფლიოს აზანზარებდა. დღეს ჩვენ განგება გვაძლევს ისტორიულ შანსს სისხლისღვრის გარეშე შევქმნათ ყველა წინაპირობა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ერთ დღეს, 5 ნოემბერს, ჩვენ არ მივალთ საარჩევნო ურნებთან და ამით ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს ნებას, ჩვენს დამოკიდებულებას უკანონო რეჟიმისადმი. მე მიმაჩნია, რომ ბოიკოტის გამოცხადება იგივე მასშტაბის აქტი იქნება, როგორიც იყო 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, სადაც დაფიქსირდა ქართველი ერის უდიდესი უმრავლესობის ნება - რომ მას დამოუკიდებლობა, თავისუფლება სურს; რომ ის წინააღმდეგია მისთვის ძალადობით თავსმოხვეული რეჟიმისა. ბოიკოტის განხორციელების შემთხვევაში, ისევე, როგორც ეს მოხდა 1990 წლის მარტში, წარმოიქმნება ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ ქვეყანაში კანონიერება აღდგეს და ახლო მომავალში ჩავატაროთ კანონიერი არჩევნები, სადაც გამოვლინდება პოლიტიკური ძალა, რომელიც დააფიქსირებს ერის ნებას. მხოლოდ და მხოლოდ ეს ეროვნული ხელისუფლება გადაარჩენს საქართველოს. იმას, რასაც იძლევა თავგანწირული ბრძოლა ჩეჩენი ხალხისა, იმას, რასაც მიაღწია ინდოეთმა განდისტური გზით, ჩვენ არჩევნების ბოიკოტირებით მივაღწევთ.

# ის, ვინც საარჩევნო ყუთთან მივა 5 ნოემბერს, ხმას აძლევს აფხაზეთის გამოყოფას საქართველოსგან

## უნივერსიტეტის სტუდენტები სოლიდარობას ვუცხადებთ გლდანის ეკლესიის მრევლს

ჩვენ, უნივერსიტეტის სტუდენტები შეშფოთებით ვადევნებთ თვალყურს იმ მტკივნეულ პროცესებს, რომელიც გლდანის ლომისის წმიდა გიორგის ეკლესიის მოძღვრის მამა ბასილის (მკალავიშვილი) და მისი მრევლის გარშემო მიმდინარეობს.

დღეს, როცა საქართველოში ასე მომრავლდა სექტანტობა; როცა სხვადასხვა კონფესიები შეუფერხებლად ეწევიან თავისი აღმსარებლობის პოპულარიზაციას; როცა ამერიკელი ბაპტისტები ხსნიან სკოლას, სადაც ბავშვები სრულიად მიზანდასახულ რელიგიურ აღზრდას იღებენ; როცა რუსთაველზე, დღისით-მზისით, ხსნის არმია ეწევა მისიონერულ საქმიანობას; როცა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შემაშფოთებლად იზრდება იეღოველთა გავლენა; როცა კრიშნაიტები ყოველ ნაბიჯზე შეუფერხებლად ავრცელებენ თავის ლიტერატურას... რბილად რომ ვთქვათ, უცნაურად ჩანს ის გააფთრება; რომლითაც გლდანის წმიდა გიორგის ეკლესიის მრევლი იდევნება.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მრევლს ეკლესიის ეზოში შესვლის უფლებაც კი ჩამორთმეული აქვს. მათ წინააღმდეგ ნიღბიან ომონელთა სისასტიკის გამოყენებასაც კი არ ერიდებიან. ორი მორწმუნე ლოცვის დროს, პირდაპირ ელკესიიდან წაიყვანეს მილიციის განყოფილებაში, მამა ბასილის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული - მოძღვარიც და მრევლიც შუასაუკუნეების ევროპის ინკვიზიციური სისასტიკით იდევნება.

ჩვენთვის გაუგებარი და მიუღებელია ეს სისასტიკე, მით უფრო, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არანაირად არ რეაგირებს იმ უმძიმეს სულიერ კრიზისზე, რომელმაც საქართველოს რელიგიური ცხოვრება მოცვა.

ჩვენ, ქართველი სტუდენტები მივიჩნევთ, რომ პასუხისმგებლობა ამ უმძიმესი სულიერი კრიზისის გამო ეკისრება საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს და მოვითხოვთ მისგან - აღკვეთოს ქრისტიანთა დევნა-შევიწროება მართლმადიდებელ ქვეყანაში.

ჩვენ მხარს ვუჭერთ გლდანის მოსახლეობის მოთხოვნას - აღდგეს მამა ბასილი თავის უფლებებში და მრევლთან ერთად დაუბრუნდეს გლდანის ლომისის წმიდა გიორგის ეკლესიას.

ნ.ნანობაშვილი, ი.ჯორჯაძე, ლ.ძიგუა, ქ.გაგნიძე, ნ. რეხვიაშვილი, მ.მელქაძე, ნ.სულაბერიძე, მ.ზარდიაშვილი, ლ.სვიმონიშვილი, თ.ქართლელიშვილი, თ.ელიაშვილი, ნ.გელაძე, ც.ყალიჩავა, ლ.ხიდაშელი, ნ.ლეჟავა, ნ.ჯიქია, ნ.ფირცხალავა, კ.მენაბდე, მ.გელაშვილი

# არჩევნები უკრაინულად, ანუ პარალელები დროსა და სივრცეში

დღეს, როდესაც ფაქტობრივი ხელისუფლება თავის უკანონო არჩევნებს მართავს საქართველოში, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, უნებური ანალოგიით, ოთხი წლის წინ უკრაინაში გამართული იმ მსგავსი ღონისძიების ამსახველი მოვლენები მაგონდება, რომელთა თვითმხილველიცა და მონაწილეც თავად გახლდით.

მაშინ, 1991 წლის პირველ დეკემბერს, უკრაინაში ტარდებოდა ერთდროულად საპრეზიდენტო არჩევნები და რეფერენდუმი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოთხოვნით - ტარდებოდა ყველა საერთაშორისო ნორმის დაცვით და, ცხადია, მრავალი ქვეყნიდან ჰყავდათ დამკვირვებლები მოწვეული. მათ შორის, ვისაც საქართველოდან ამ თარიღთან დაკავშირებით დასწრების პატივი ჰქონდა, გახლდით გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორი მარიკა აბაიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი - იმხანად გაზეთ "ქართველი ერის" რედაქტორი.

არჩევნებისა და რეფერენდუმის დედაქალაქი ჩვენს წინაშე წარმოდგა, როგორც შეეფერებოდა გვიანდელ კომუნისტურსა და ადრეულ პოსტკომუნისტური რეჟიმის პერიოდებს - ქუჩები და მოედნები გადავსებული იყო მყვირალა ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით, ხოლო კედლები და ბოძები ისევე აჭრელებული პლაკატებით, როგორც დღევანდელი თბილისი - "მოქალაქეთა კავშირისა" და ედპ - ის სააგიტაციო პროპაგანდით. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა ლენინის სხვადასხვა ზომის ქანდაკებები - მდგომარე, მჯდომარე, წელზევითა ბიუსტებით თუ პოსტამენტზე დაკოსებული ვეება თავებით. და სწორედ იმგვარად, როგორც ჩვენში ხდება ამჟამად, მაკულატურის ვერნისაჟზე საზეიმოდ გამოფენილ ბუტაფორიას თან არ ახლდა არავითარი ადამიანური გრძნობადი ელემენტი: არავითარი ხალისი, არავითარი შინაგანი მღელვარება - მოკლედ, არაფერი იმ ზღვა სიხარულის მსგავსი, რისი მომსწრენიც ვიყავით 1991 წლის 28 ოქტომბერსა და 1991 წლის 9 აპრილსა თუ 26 მაისს! ყველაფრიდან ჩანდა, რომ უკრაინა ემზადებოდა რიგითი საბჭოთა არჩევნებისთვის - ფორმალური ერთსულოვნებითა და ურნებთან ძალით მირეკილი ხალხით. და უკრაინის მაგალითის შემყურეს, არ იქნებოდა გუნებაში არ გაგევლო: განზრახ ხომ არ მოუგონეს სხვა რესპუბლიკებს დამოუკიდებლობის მოთხოვნის აქტი, საქართველოსგან ამ მოთხოვნის გაუფასურებისა და დაკნინებისათვის... სულო ცოდვილო და - ისეთი აზრიც გაგიჩნდებოდა კაცს, რომ ამ ხალხისთვის დამოუკიდებლობის ცნობა იქნებ ზედმეტიც იყო და ნაადრევიც... სად მაშინდელი, თავისუფლების წყურვილით ანთებული ქართველების ჟინი და შემართება და სად ეს დაბეჩავებული, გასაცოდავებული უკრაინელები. თვით "რუხის" წევრებიც კი, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, რაღაცნაირად უმწეონი და უსასოონი გვეჩვენებოდნენ საარჩევნო უბნების წინაშე.

სამაგიეროდ, ჩვენ - მე და ჩემს კოლეგას, "საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორს გვქონდა მოჭარბებულად ის განცდა, რაც აგრერიგად აკლდათ ჩვენს მასპინძლებს. პირადად მე დღემდე - არც მანამდე და არც შემდეგ, არასოდეს მიგრძვნია თავი ისე ამაყად, როგორც პირველ დეკემბერს კიევში - თავად განსაჯეთ: დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი იმ ერის წარმომადგენელი გახლდით, რომელსაც გზა უნდა დაელოცა თავისზე ათჯერ უფრო მრავალრიცხოვანი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის!

ამ შეგრძნებას კიდევ უფრო გვიცხოველებდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება - იმ დღეებში უკრაინის ტელევიზიით რამდენჯერმე გადაიცა საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა უკრაინაში მცხოვრები ქართველებისადმი, რათა მათ მხარი დაეჭირათ უკრაინის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. და ჩვენს მორიდებულ მასპინძელთაგან მადლობის სიტყვებს ვისმენდით საქართველოს პრეზიდენტის თანადგომისთვის უკრაინელი ხალხისადმი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ყველას ერთნაირად როდი სჭირდა გაუბედაობის სენი - ისეთი ადამიანებიც გვხვდებოდნენ, რომლებიც სწორედ სითამამით თვალსაჩინოდ განირჩეოდნენ სხვებისგან და გაცნობისას, როგორც წესი, ირკვეოდა ხოლმე, რომ ისინი კანადელი უკრაინელები იყვნენ, ჩვენსავით სტუმრად ჩამოსულნი არჩევნებზე. ადგილობრივ მკვიდრთაგან განსხვავებით, მათ მეტწილად ევროპული კი არა, უკრაინული ნაციონალური სამოსი ეცვათ და ქცევაშიც თავისუფლებით გამოირჩეოდნენ; ზედმეტი მორიდების გარეშე მიმართავდნენ ხოლმე საარჩევნო კომისიის წევრებს და აქეთ ჩვენს ავტორიტეტსაც მოიშველიებდნენ საფანელად: - გაიცანით, ძვირფასებო, სტუმრები მოგვიყვანია (არადა, თვითონაც ხომ სტუმრები იყვნენ). თქვენი საქმიანობის გასაცნობად გახლავან ჩამოსულები საქართველოს რესპუბლიკიდან; აბა, ცოცხლად, აუწყეთ საქმის ვითარება - ხომ არავინ ცუღლუტობს მანდა? ერთი, საარჩევნო ბიულეტენები და ოქმები აქეთ მოგვაწოდეთ! - და თქვენ წარმოიდგინეთ - საარჩევნო კომისიის წევრები დამყოლად, მორჩილებით ასრულებდნენ ყველაზე ჭირვეული დამკვირვებლის მოთხოვნასაც კი... მაგრამ, უნდა გენახათ ამ ტყავის პორტფელიანი და კისერში ჰალსტუხწაჭერილი ბიუროკრატების სახეები - მათი, ვინც საარჩევნო უბნებში გვხვდებოდა, ერთი სული რომ ჰქონდათ, როდის წავიდოდნენ ეს აბეზარი სტუმრები, რათა თავიანთი ზემოდან მიღებული მითითებები შეესრულებინათ ყოველგვარი დამსწრისა და შემმოწმებლების გარეშე.

და აქ არ შეიძლება არ დაისვას ერთი კითხვა, რომლითაც მინდა მოგმართოთ ძვირფასო მკითხველო: თქვენ როგორ ფიქრობთ, თუ იქ, უკრაინაში, ხელისუფლებას არჩევნების შედეგების გაყალბება სურდა, ჩვენი იქ ყოფნა რამეს უშველიდა თუ არა? ვფიქრობ, რომ ბევრს ვერაფერს!

და, საერთოდაც, რა შეუძლია გააწყოს ათეულმა, გნებავთ, ასეულობით დამკვირვებელმა და მეთვალყურემ, თუკი ათასეულობით ფუნქციონერი გაუძღვება საარჩევნო პროცედურას? დამკვირვებლები ამ შემთხვევაში მხოლოდ დემოკრატიულობის გარეგნულ ელფერს ქმნიან და მრავლის უმრავლეს შემთხვევაში, იქნებ სწორედ დათვურ სამსახურს უწევენ იმ ქვეყანას, სადაც წინასწარ ცნობილი დარღვევებით იმართება არჩევნები.

და, როდესაც დღეს მეკითხებიან, თუ რა მიზეზით უნდა განვუცხადოთ ბოიკოტი ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ საქართველოში ამჟამად დანიშნულ არჩევნებს, გარდა ყველასთვის ცნობილი ჭეშმარიტებისა (უკანონო ხელისუფლების ლეგიტიმურობის ცნობა, მის მიერ მიღებული კონსტიტუციისა და რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში დამკვიდრების აღიარება, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაფიქსირება საქართველოს იურისდიქციის გარეშე), კიდევ ერთ განსაკუთრებულ მიზეზზეც მოგუთითებ ხოლმე, რომელიც ჩემთვის სწორედ უკრაინაში ჩატარებული არჩევნების გამოცდილების საფუძველზე გაცხადდა უკეთ:

დაკვირვებისა და დამკვირვებელთა როგორი მექანიზმიც უნდა შემუშავდეს კომუნისტური თუ ნებისმიერი სხვა დიქტატურის პირობებში, თუ ხელისუფლებას თავად არ სურს (ან იგი რაიმე პოზიტიურ ძალთა ზეწოლით იძულებული არ არის) გაარკვიოს თავისი ხალხის ჭეშმარიტი ნება, ტოტალიტარიზმის პირობებში პასუხების გაუკუღმართების იმდენნაირი საშუალება არსებობს (დაწყებული მარიონეტ ფუნქციონერთა კადრებით შევსებული საარჩევნო კომისიებითა და ხალხის დაშინების, მუქარის, შანტაჟის თუ დაპირებების და დაყვავების ხერხებით - დამთავრებული ბიულეტენების დამალვის, გაყალბების, შენაცვლების, გადამრავლების თუ სხვა ნაცადი კომუნისტური მეთოდებით), რომ ვერანაირი დამკვირვებელი ვერ შეძლებს პროცესის სრულად ასახვას და შედეგების მკაცრად გაკონტროლებას.

სწორედ კიევის არჩევნები ავლენდა თვალნათლივ ახალ დროებაში გადმონერგილ ამ ძველებურ პრაქტიკას, რისი დასტურიც იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც საარჩევნო უბნებზე მოსული ზოგიერთი ამომრჩეველი გაგვინაპირებდა ხოლმე და ჩურჩულით გვაუწყებდა: იცით, პატივცემულო ქართველებო, ამა და ამ უბანში, ამა და ამ კომისიამ გააყალბა შედეგები; ან მავანმა ფუნქციონერმა ერთად ჩაყარა ათობით თვითნებურად შევსებული ბიულეტენი; ან მავანმა ნომენკლატურის მუშაკმა ზეწოლა მოახდინა ამომრჩევლებზე და ა.შ. ხოლო როდესაც ვეკითხებოდით: სად, როგორ, რა ვითარებაში; ვთხოვდით, ეთქვათ თავისი სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი - თოფნაკრავივით გაგვირბოდნენ - რას ამბობთ, ეგ რომ გითხრათ, ხომ სამსახურიდან დაგვითხოვენ, ან კიდევ უარესი - ფიზიკურად გაგვისწორდებიან, დაგვაპატიმრებენო და ა.შ.

ჩვენ მაშინ თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნიდან ჩასულებს, გვიკვირდა ყოფილი იმპერიის ჩიხრცეში ასე საბრალობლად შემორჩენილი საბჭოური დაღის მატარებელი ადამიანების ნილვა და გულწრფელად განვიცდიდით ამ ხალხისგან ღირსების გრძნობის დაკარგვას. და აბა, როგორ წარმოვიდგენდით, რომ სულ მალე, რაღაც სამიოდ კვირაში, ჩვენს საკუთარ სამშობლოში, სისხლიანი მოლოქი შეიწირავდა არა მარტო საქართველოს თავისუფლებას, არამედ ასეულ და ათასეულ ადამიანთა მისწრაფებასაც თავისუფლებისაკენ - იმდენად, რომ სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, 11 ოქტომბერს, ხმას მიაცემინებდნენ მათ "მხედრიონის" და ედპ-ის კონდახებქვეშ მონური მორჩილებით დამდგართ საარჩევნო ურნებთან და მერე მთლად ისე დაჩიავდებოდა და დაეცემოდა ქართველობა, რომ ნებაყოფლობით აულოკავდნენ ფურთხს მის თავს მოვლენილ სისხლიან ტირანს.

ასე რომ, თუ პირველსავე სიტყვაზე მოვალთ და 1 დეკემბრის არჩევნების შედეგებზედაც მოგახსენებთ, იქაურობის შემხედვარეთ, ბუნებრივია, არ გაგვკვირვებია, რომ უკრაინაში მაშინ ეროვნულ ძალთა კანდიდატის მაგივრად პარტიული ფუნქციონერი კრავჩუკი აირჩიეს პრეზიდენტად და დამოუკიდებლობის აქტიც ზედ მიაყოლეს, ალბათ, "ხალხის ნების დემოკრატიულად გამჟღავნების" საბუთად. ყოველივე ამის შესახებ თბილისში ჩამოსვლისთანავე ვწერდი სწორედ "საქართველოს რესპუბლიკაში", ვწერდი დანანებით და თანაგრძნობით უკრაინელი ხალხისადმი და მაშინ ძნელად წარმოვიდგენდი, რომ გამოხდებოდა ხანი და იგივე ემოციური განწყობით მომიხდებოდა წერა უკვე საკუთარი ხალხის შესახებ, ოღონდ არა დანანებითა და თანაგრძნობით, არამედ უსაშველო ბოღმითა და იმედგაცრუების გულისტკივილით, რომ ის ადამიანები, ვისაც დააკარგვინეს სულის მხნეობა და თავისუფლების რწმენა, ვისაც წაართვეს აფხაზეთი და სამაჩაბლო, ვინც ლუკმაპურს დაანატრეს და ჰუმანიტარული სალაფავების მომლოდინე გახადეს - დღეს მოძალადე ხელისუფლების არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ესწრაფვიან და თავის გასამართლებლად, არცთუ იშვიათად, იმ ეროვნული მოძრაობის ლოზუნგებსაც ეფარებიან, რომელიც მათივე უბადრუკობითა და უნიათობით დაგვიმხო შინაურმა და გარეშე მტერმა.

და მე ახლა ისევე ვფიქრობ ჩემს ხალხზე, როგორც ოთხი წლის წინ ვფიქრობდი უკრაინელებზე: სულო ცოდვილო, თუკი ვერ შევიშვნეთ და დავაფასეთ, ჩვენთვისაც ადრე ხომ არ იყო თავისუფლება და დამოუკიდებლობა?

**ზურაბ ასკანელი**

# TAVISUPALI SAKARTVELO
## (FREE GEORGIA)
## N24 (1995)
## in brief
## 27 October - 2 November

### Forcing out the Testimonies Using ... a Bear as an Argument

The Chief of the Internal Affairs Department of the Republic of Georgia Mr. Demur Mikadze confessed that the practice of forcing out the "testimonies" from the prisoners using an alive bear was very popular in the prison. According to Mr. Mikadze, such facts had never taken place after his appointment as a Chief of the above Department.

(The "Alia" newspaper, #58, October. Interview with Demur Mikadze)

### Korbesashvili Was Subjected to the Expert Examination

As we have learned from the relatives of G. Korbesashvili, on October 18, 1995. he was visited in the prison where he is presently being kept by the investigator Keldishvili accompanied with several physicians who came to provide expert examination of the prisoner. Totally irrespective of the written appeal made by the relatives of G. Korbesashvili to carry out medical examination of the prisoner in the presence of the physicians whom they trusted, they were not among those who visited the prison. The political prisoner refused to be examined without his lawyer. The investigator irritated by his lawful demand threatened the sick patient with transferring him to the investigation isolator. The family members of Korbesashvili learned about the expected expert medical examination by pure chance. They asked the lawyer to postpone the examination to allow them to present the physicians to whom they trusted. However the lawyer refused to even enter a caveat about postponing the expertise. Next day, on October 19, Keldishvili again visited the prison hospital. This time he was accompanied with the physicians and the lawyer. G. Korbesashvili strongly demanded from the investigator and lawyer to allow the physicians nominated by his relatives to present at the medical expertise. Keldoshvili as well as the lawyer ignored the lawful demand of the prisoner, and subjected him to medical examination against his will. As it turned out, the prisoner was subjected to the surgical examination only. The political prisoner in the token of protest refused to sign the medical conclusion and demanded from his lawyer to do the same. Mdinaradze acting against the interests of the client he was defending declared that he could not fulfill this request of the prisoner. Korbesashvili objected to his lawyer Mdinaradze and demanded from the members of his family to annul the agreement made with him. As we have learned from the members of the family of the political prisoner, they does not consider the medical examination carried out on October 19 lawful and again demand complex medical and psychiatric examination of the prisoner to be carried with participation of the specialists invited by them. They made a complaint in relation with the above mentioned to the Prosecutor General of the Republic of Georgia and investigator.

### Kavsadze Visited the Political Prisoner

On October 16, 1995, the political prisoner Gocha Makhviladze who was on a hunger-strike, was transferred to the Prison Republican Hospital as a result of dramatic aggravation of his health. The hunger-striker demanded to allow him to meet the Chairman of the

tate Human Rights Committee. As we have been informed by the family members of Gocha Makhviladze, on October 17 the political prisoner was visited by Mr. S. Kavsadze and General G. Kvarelashvili. This latter declared that Makhviladze should be happy that he was not beaten. As for his demand to trial him for "The Attempt of Coup" of June 24, 1992, Mr. Kavsadze promised the political prisoner that he would study his case and enter a respective motion to the administration of the Supreme Court. Gocha Makhviladze qualified the results of the meeting as satisfactory and ceased the hunger-strike.

### "Kavsadze's Kidnapper" was Hospitalized

On October 16, several individual members of the International Human Rights Society IGFM visited the medical service of the Department of Criminal Code Actions of the Republic of Georgia, Ministry of Internal Affairs, to receive information about the state of health of some political prisoners.

It happened so, that in the study of the Head of Medical Service was present a certain Shota Dzneladze, who turned out to be one of the deputies of the Chief of the department, a colonel. As soon as he learned about the reason of this visit of the representatives of International Human Rights Society, he stated: "They do not deserve professional aid, they well deserve execution instead."...

According to the information of the Human Rights Commission of Georgian Helsinki Union. the "Kidnapper of Kavsadze" David Kacharava was transferred from the jail to the Republican Prison Hospital with diagnosis of bilateral cavernous tuberculosis.

As for the health state of the prisoners, it was noted that due to the hard financial conditions, their medical management, transferring to the hospital was unfortunately possible only in those cases when the life of the prisoner was endangered.

### Disappointed Police in Wait of Action

On October 22, 1995, beginning from 12 o'clock the numerous policemen were littering around the Shota Rustaveli monument and near the entrance of Merab Kostava's house. Nearly all were the experienced "experts" in brutal dispersing of the peaceful actions, responsible persons from the Municipal Department of the Ministry of Internal Affairs of the Republic of Georgia, the detachment of special destination, well-known Mgebrishvili's "boys" who had arrived by their "Ford" and an Olympic Champion in wrestling from police Mikheil Saladze The policemen were accompanied with a Doberman pincher who was supervised by a policeman in civil clothes.

It was obvious that the police was intensively observing the passers-by, the object of their particular attention being the small groups of people talking to each other. The yard of Merab Kostava's house was kept under a special control being occupied by the police since October 13. The "Villis" type car parked at the gates was blocking the entrance into the yard, while the policemen who were littering in the yard did not allow the citizens to enter the yard.

As it turned out later, the anti-election block "Rise, Georgia" was going to hold a peaceful rally by one o'clock p.m., which was the reason for keeping the police forces in fighting trim. The policemen were chasing the citizens from "the dangerous zone" and while busily engaged in these activities the accidentally came upon the local members of the International Society for Human Rights IGFM/ISHR. To the credit of the policemen be it said that their majority showed quite a reserved attitude towards the observers, though Mikhail Saladze failed to cope with his emotions and demonstrated his habitual rude attitude towards one of the observers. Immediately some unknown policeman literally kicked out and then forcibly dragged some passers-by whose only fault was the fact that they were standing nearby and listening to the conversation between the policemen and observers.

The defenders of the law and order wasted nearly whole day waiting for the anti-election action and finding out the attitude of the passers-by towards the supposed action.

As for the organizers of the action, they seemed not to have the slightest intention to interfere with the police idyll and seemingly preferred to enjoy the week-end.

Mamuka Tusishvili

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia